ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6279453

ნომერი: AR1943350

თარიღი : 09.01.2023

გაცემის თარიღი : 24.01.2023

გაცნობის თარიღი : 24.01.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანის VII მ/რ, კორპუსი N15-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლელა გურგენიძე პ/ნ 01025015894
- საქართველო, ქალაქი თბილისი, დიდი დიღომის დასახლება, III მიკრო/რაიონი, კორპუსი 27, ბინა 9

ორგანიზაცია:

- გურგენიძე არქიტექტურა კოდი: 405317697

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 03 ივნისის № 5433482 ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 09 იანვარს AR1943350განცხადებით მომართა მოქალაქე ლელა გურგენიძემ და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისსსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისარქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 03 ივნისის №5433482 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა,

კერძოდ: კოდისა და ფართის უცვლელად ახალი საკადასტრო გეგმის დამატება.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 2021წლის 03 ივნისის №5433482 ბრძანებით, ქ. თბილისში, სექტორი-გლდანი, გლდანის VII მ/რ, კორპ. №15-ის მიმდებარედ არსებულ მიწისნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.09.001.203; ფართობი: 14173.00 კვ.მ.) სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტის (ორი საფეხბურთო მოედანი, მაყურებელთა ტრიბუნით და დამხმარე შენობებით) განთავსების მიზნით გაიცა მიწის ნაკვეთისსამშენებლოდ გამოყენების პირობები.

განმცხადებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, რომ მოხდამიწის ნაკვეთისს/კ №01.11.09.001.203 წითელი ხაზების კორექტირება - კონფიგურაციის ცვლილება ფართისა და საკადასტრო კოდის უცვლელად. წინამდებარე განაცხადით, მოთხოვნილია სამსახურის 2021წლის 03 ივნისის №5433482 ბრძანებით დამტკიცებულ მიწისნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებშიცვლილბის შეტანადა განახლებული საკადასტრო გეგმის დამისი მონაცემების დაფიქსირება.

„მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია 2021 წლის 03 ივნისის №5433482 ბრძანებით დამტკიცებულ მიწისნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებშიცვლილების შეტანა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების შესაბამისად.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

ვბრძანებ

1. შევიდესცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021წლის 03 ივნისის №5433482 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთისსამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: დაფიქსირდეს ახალისაკადასტრო გეგმა(საკადასტრო კოდი№01.11.09.001.203; ფართობი 14173.00 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი№ 892022011543; მომზადების თარიღი05.01.2023 წ.) და ამონაწერი საჯარორეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი ნომერი№ 892022011543; მომზადების თარიღი05.01.2023 წ.).
2. წინამდებარე ბრძანებაგანხილულ იქნასქ. თბილისისმერიის სსიპ– ქ. თბილისისარქიტექტურის სამსახურის 2021წლის 03 ივნისის №5433482 ბრძანებით დამკიცებულ მიწის ნაკვეთისსამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად
3. ბრძანებაშეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისისმუნიციპალიტეტის მერთან(მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩაN7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთითვის ვადაში.

.

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.